ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6612086

ნომერი: AR1974302

თარიღი : 28.06.2023

გაცემის თარიღი : 14.08.2023

გაცნობის თარიღი : 14.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბიჭვინთის III ჩიხი, N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან დევაძე პ/ნ 01030015659
- ტყეკულტურის III შესახვევი ბინა #7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 28 ივნისს №AR1974302 განცხადებით მომართა ლევან დევაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით №01.11.04.005.194 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 22 ივნისის №5997532 ბრძანებით ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 22 ივნისიდან 2025 წლის 22 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით შეთანხმებული A და B ბლოკის არქიტექტურული გეგმების კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან, ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად 558.6 კვ.მ-ის ნაცვლად 730.8 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 478.4 კვ.მ-ის ნაცვლად 489.2 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 7920 კვ.მ-ის ნაცვლად 8103 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი A და B ბლოკის არქიტექტურული გეგმები და ფასადები შეადარა შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტს, აგრეთვე შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებაში და:
1.1 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 730.8 კვ.მ., სარდაფის ფართობად 489.2 კვ.მ., საერთო ფართობად 8103 კვ.მ.
1.2 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით შეთანხმებული A და B ბლოკის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ბლოკების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
1.3 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებით შეთანხმებული A და B ბლოკის ფასადები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ბლოკების გასწორებული ფასადებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 მაისის №5944066 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.